

572 /
1966/2

1966 ԵՎԻՍ



ԵՎԻՍ

№3



სარუქნი

ანზორ აბულაშვილი

ეს გაზაფხულიც მოვიდა
და შემოგვცინა მარტმა.
მეცა მყავს დედა ლამაზი,
მეცა მაქვს ერთი ნატვრა:
რვა მარტს—საჩუქრის გარეშე
რალა ფასი აქვს აბა;
ზოგი თუ ყვავილს დაეძებს,
ზოგი ყიდულობს კაბას,
მე კი სხვას ვნატრობ ამ დილას
სხვა საჩუქარი მინდა;
რადგან ერთია დედისთვის—
კარგიც, ლამაზიც, წმინდაც!
ვიყო, როგორიც დედას სურს,
ჩემი იმედი ჰქონდეს,
სხვა საჩუქარი რა არის,
ამ საჩუქარს რომ სჯობდეს!



წიგნი წიგნზე, ეიწმე იწმე



როზია იოსელიანი

ნახატები ჯეპალ ლოლუასი

ერთ მშვენიერ დღეს უძეცრად იძრა მიწა. იძრა და ატორკმანდა სახლები, ხეები, მთები და ცაც კი გადაქან-გადმოქანდა. ძალიან დიდი ამბავი მოხდა. კუბიკებისაგან აშენებული კოშკები წაიქცა და დაინგრა. ეწოში ბავშვებს სილის გროვაში გვირახი გაჰყავდათ, დამთავრებას აღარაფერი უკლდა, რომ ჩამოიქცა და ჩამოინგრა. შეიქნა დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა. მთელი ქვეყანა შეიძრა.

ტყეში ხეები ტოტებით ერთმანეთს ეხლებოდნენ. შეშინებული ჩიტები ფულუროში აფარებდნენ თავს და გარეთ ცალი თვალით იქუიტებოდნენ. ჩხიკვმა თქვა, მაგონი ქვეყანა იქცევაო, კაქკაქმა გაიგონა და აქაქანდა: თავს უშველეთ, ცას სვეტი გამოვარდნია და ჩამოვარდებო. ზოგმა მართლაც დაიჯერა, ზოგმა იცოდა კაქკაქი რა ჭორიკანაც იყო და არ დაიჯერა. კოდალამ სათვალევც კი გაიკეთა—თვალი ხომ არ მატუფებსო და თქვა: რაღაცა დიდი ამბავი ხდებოა.

შეშინებული ნადირები ბუნაგებიდან გამორბოდნენ და ღრიალებდნენ,—იქნება ვინმემ იცოდეთ რა ამბავიაო. სულელ დათუნას ჩხიკვის ნათქვამი გაეგონა და ჟირაფს ეხვეწებოდა—მალე კისერი გაქვს, ზევით აიხედე, ცა თავზე ხომ არ დაგვეცემია!

ქვეყანა თუ არ დაიქცეოდა, არავის ეგონა. მართლაც, დიდი ამბავი მოხდა: საქვეყნოდ განთქმული დაჩი ბიჭი ფეხზე დადგა.

— დაჩი ფეხზე დადგა!—დაიძახა მანომ,—ბიჭი ფეხზე დადგა, მიწა იძრა.

ბაჩოს მანაც არ უნდოდა დაეჯერებინა. მაგრამ ვერ მიართევს, დაჩი ისე იდგა, არც დედას ეკიდა ხელი, არც მამას, არც მანოსა და არც თვითონ ბაჩოს. რას იზამდა, არ დაიჯერებდა?

— დედა,—ამბობდა დაჩი, ხელეგაშლილი იდგა და ინძრეოდა სახლები, ხეები, მთები. ცაც კი ქანაობდა. დაჩი მანაც იდგა.

ტყის მეფე ლომს კისერზე ფაფარი აეშალა და მიწის ფეხი დაჰკრა. მაგრამ მიწა მანაც ინძრეოდა.

— არიქო,—იუვირა ლომმა და მელიები, ტურები, მგლები და დათვები კისრისტენით გამოყარა ტყიდან, ქვეყანა მოიარეთ, გაიგეთ, რა მოხდაო. მალალფეხება ქორბუდა ირმები და შავთვალა შველები მთიდან მთაზე გადაბოდნენ, ჯიხვები კლდიდან კლდეზე ხტოდნენ. ნამეტანი დიდი შიშინაობა იყო, ისეთი, თვით ლომსაც კი შეუქანდა გული.

ამ დროს ვეფხვს ჩიტმა ამბავი მოუტანა: — დაჩი ფეხზე დადგაო!

3
0.0.0

— ბიჭი დადგა, მიწა იძრია!
ეს მონადირეებმაც გაიგეს და ჰაერში თოფე-
ბი დაცალეს, მთლად გააქრეს ქვეყანა.

ქორ-შავარდნები მთაში გაფრინდნენ და არწივს
წაულეს ამბავი, მტრედები სოფლიდან სოფელში
გადადიოდნენ, ქალაქიდან ქალაქში გადაჰქონდათ
ამბავი: დაჩი ფეხზე დადგაო.

ვეფხვმა უღვაშებში ჩაიციინა. ბოკვერები წინ
გაიძლოდა და ტყის მეფესთან გასწია. ლომმა
თოფების სროლაზე მთლად დაქარგა ჰკუა და
რა გაიგო, ვეფხვი მობრძანდებოა, შუა გზაზე
შებვდა. დიდი პატივით მიილა.

— ასეთი ამბავი ჩემს მახსოვრობაშიაც არ
მომხდარაო.

— მართალია, მეფეო,—ადეთანხმა ვეფხვი.

— ქვეყანა ხომ არ იქცევაო?—იკითხა შიშნა-
ქამმა მეფემ.

— არაო,—ჩაილიმა ისევ უღვაშებში ვეფხვმა,
მერე წელში გასწორდა, თავის მოზრდილ, კრელ
ბოკვერებს გადახედა და შედიდურად თქვა:

— დაჩი ფეხზე დადგა!

— ვინაო?—მეფე ხანში შესული იყო და ვერ
გაიგონა.

ვეფხვს უვითელ ზოლებში სიწითლე მღვდელი
ბრაზისგან.

— დაჩი არ იცი, ჩემი ძუძუნაწოვარი დაჩი?
არ გაიგოს, აკენის ქვეშ დასაგებად ტყავს ეძებს,
მეფეო.

— ეუჰ, დაჩი როგორ არ ვიცი!—თავში წაი-
შინა ხელი მეფემ.

— ჰოდა, ფეხზე დადგა და მიწა იძრა.

— ჰოო,—თავი დაიქნია, გრძელი ფაფარი
თვლებში ჩამოუცვივდა,—თუ ფეხზე დადგა,
მიწა იძროდა, აბა, რა იქნებოდაო. მერე ურში
უჩურჩულა:—არ გააგებინო, წყლან რომ ვერ
გავიგონე, ბებერი ვარ, ურში ხეირიანად არ
მეხმოსო.

— არ გაგამხელ, მეფეო,—დაჰპირდა ვეფხვი.
ამის შემდეგ დიდხანს შიშით არ სძინებია
ბებერ ლომს, მაგრამ ვეფხვმა სიტყვა არ გატეხა
და, სიმართლე უნდა ითქვას, დაჩის, უკვე ფეხზე
დამდგარ დაჩის, არაფერი გაუგია. კიდევ კარგი,
თორემ ვინ არ იცის, დაჩიმ როგორი გულის
მოსვლა იცის!..

მაღლობა ლმერთს, უველაფერმა მშვიდობით
ჩაიარა.

აი, ასე დადგა ფეხზე დაჩი.



საბავირო გზა

ნანა კაკასალიძე



დაგრესილი თოკია,
 ზედ ზატარა კოშკია,
 ადის, ჩადის ნელ-ნელა,
 სასლი საქანელა.
 ძირს თბილისი დაეტოვებ,
 ავსრიალდი ზღატოხე,
 ერთი, ორი, ერთი, ორი,
 ფუნეკულიორი.
 რაც კარგია, კარგია,
 კოშკი შელის კარღია,
 ჩამაქროლებს ნელ-ნელა,
 სასლი საქანელა.

ფინიშია სათონე

ზინა ჯიგიაშვილი

— მოდი, აბა, ვინ დამიჭერთ,—
 გადაფხანე უბნის ბიჭებს,—
 გეჯობრებით მარტო მე,
 ფინიშია სათონე.

ერთი... ორი... აბა, ჰერი,
 ავადინეთ გზაზე მტკვერი,
 აი, უკან დაეტოვეთ
 ბადი, ეზო, სათონე.
 ნურაფის გაქეთ იმედი,
 სულ ზირეული მივედი!





სოკო

რეზო ჭივიჭილი

დიდი წვიმის შემდეგ ტყეში, ხავსიანი რცხილის ქვეშ თეთრი სოკოები ამოვიდა.

ერთი რატომღაც ყველაზე დიდი გობირი. ეს ამბავი ტყეში მალე გაიგეს და დიდ ქუჩაში კოს სახელი გაუფარდა. დიდი სოკო გობირი ყოფიდა: ცა ქუდად არ მიაჩნდა და ედამიწა—ქაღალმად. მედიდურობით და ამპარტაგნობით მეზობელ სოკოებს თავი მოაბუზბა. მკვირი, დაკვერცხილი სოკოები გრძნობდნენ, რომ დიდი სოკო არც ისეთი ძვირფასი იყო, როგორც ფრინველებს, პეპლებსა და ყვავილებს ეგონათ. ძვირის თქმას, ან ნაკლის გამომყლანებებს მაინც ვერ უბედვდნენ, რადგან გარეშენი ამას შურიანობაში და გლახა კაცობაში ჩამოართმევდნენ.

ერთ დილით თეთრი სოკოები პატარა მწყემსმა იპოვნა. პატარა ბიჭს გრძელი შარვანი ეცვა და ხელში სახრე ეჭირა. სოკოების დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. კადათი სოკოთი გააფსო და შინისკენ მოკურცხდა.

სალამო ხანს დიასახლისმა სოკოები გაასუფთავა, შესაწავად გაამზადა. დიდ სოკოს შემადი გვერდები შეაქრა, ფუყე ადგილები მოაცილა და თქვა: ეს სოკო ყველაზე დიდი იყო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაზე ჩიბ და პატარა ეს დარჩა.

მოკის უოსხივილი

ავაშენე ხიდი, დამაბი და დიდი.

ზედ ყვინჩილას ორთვადა სულ წივილით მიდის,

მელაკუდას ოთხთვადა სულ სრიადით მიდის,

ბ ი



მამა და ნინო

მარგო შორშიძე

— რა მშვენიერი გოგონაა, — იტყვიან ხოლმე უცნობები სამი წლის ეკაზე.

ეკა მართლაც შესანიშნავი გოგონა იქნებოდა, რომ... ძუნწი არ იყოს.

— ეს თოჯინა ჩემია, ამას ხელი არ ახლოთ, ეს მანქანაც ჩემია! — სულ ასე გაიძახის ეკა, როცა თანატოლებთან თამაშობს.

ერთხელ, დეიდა ანა მოვიდა სტუმრად ეკასთან და თან პატარა ნათელაც მოიყვანა. სტუმარმა გოგონამ მოინდომა პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო, მაგრამ ნურას უთქვამდა, ეკა ერთ სკამზე თვითონ დაჯდა, მეორეზე კი ფეხები შეაწყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, დეიდა ეკა დეიდა ანასთან წაიყვანა.

დეიდა ანას ლამაზი ეზო ჰქონდა. შვიდინენ თუ არა ეზოში, ეკამ საქანელა დაინახა და მიიქცნა გაიქცა. მოულოდნელად საიდანაც პატარა ნათელა გამო-

ჩნდა, სირბილში ეკას გაუსწრო და თვითონ ჩაჯდა საქანელაში.

ახია ჩემზე! — გაიფიქრა ეკამ და გულდაწყვეტილი დედასთან მივიდა.

ნახატები ზურაბ შორჩიძისა




საქართველოს
შრომალბრძოლა


დათუნის საბარგო რაზმარუნით მიდის...

სპილღ მართავს ბუდღოზერს, ნელია და მშვიდი...

შუა ხიღზე რომ მივიდა, ჩაიშალა ხიდი.

ახლა გაღმა ნაპირზე ყველა ფეხით მიდის.





როგორ მოაწყუა ჩინილამ ქულია

ანრო მნელი

ერთი პაწია წიწვიდა
ფერმიდან გაიპარა,
არავის დაემშვიდობა,
არც არა დიობარა.

ახლა ტყის პირას სეირნობს,
ართობს ნიაფი ნედი,
წყარო უმღერის ტკბილი ხმით,
ყვავილს სთავაზობს ვედი.

პეპელამ ფრთები მოაკცა,
მის წინ დასკუპდა კობტად:
— საღამო! აქ რომ მოსულხარ,
მიკვირს, ეს როგორ მოხდა?—

აქ ციყვმა, ხეზე მჯდომარემ,
თვალზე მოიხსვა თათი:
— ამას ვის ვხედავ! ჩვენს კარზე
ეს რა სულდგმული დადის?—

უცბად, სად იყო, სად არა,
ტყიდან გამობტა მელა,
წამოიშაღნენ ფრინველნი,
დანალვლიანდა ყველა.

მელამ თათები შემართა,
თან პირიც დააფრინა:
— დიდი მადლობა დედაშენს,—
ჩემთვის რომ გაგაჩინა!—

წიწვილამ გადიკისკისა
და ასე უთხრა მელას:
— აბა, შეხედე, რას ვგავარ,
ერთ ციქვან პიაყელას!..

აი, იმ ეზოს ხომ ხედავ,
იქ მე ბიძები მყვანან,
ისეთი ყვინჩილებია,
ინდაურებსა ჰგვანან.

ჰოდა... მომყვევი, ბატონო,
აგერ, ეს ჩვენი ფერმა...
მაგრამ სიფრთხილე სჯობია,
რომ არა გნახოს მტერმა.

ამ მწევანე ბუჩქში, გენაცვა,
შებტი და დაიმაღე,
მე კი იმ ყვინჩილიანად
აქ გეახლები მაღე.

ლობში გაძვრა წიწვილა,
„სტუმარს“ შესძახა ესა:
— სადაც შენის თქვენი მელია
იქ მახსენებდე მეცა!—

ატყვა ეზოში წიაჭი,
კრაბი ცამდე აღის,
ჯიბო—დანაჯის ნაგაბი
გამოჟვია ნაბირს.

ყურშას ვინ გადურჩებოდა,
გრძელკუდას ეცა ყელში,
მეღრის წივილ-კივილი
ახლაც კი ისმის ტყეში.

ნახატი ლიმიზაი ზარაფიპილსა



ყ.ვ.ს.პ.ი.ღ.ე.ზ.ი



გარეთ წვიმს, გაბაფხულის თბილი, შხაპუნა წვიმია.

— წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ...

წვიმის წვეთები ფანჯრის მინებზე მღვრიან: წკაპ-წკუპ.

ფანჯრის რაფაზე ოთახის ყვავილებია, ბაღა და პატარძალა მინის ეკერიან.

— მწყურია, ნეტავი რატომ დაგვიფიყვა ბებია დარომ, რამდენი ხანია წავიდა, გამოგვეკეტა ამ უპაერო ოთახში.

— მერე, გარეთ რა დამაბი გაბაფხულია!..

— შეხედე ეზოს ყვავილებს, რა დიდი და რა ხასხასა ფოთლები აქვთ!

— ეჰ, ჩვენ კი ჯერ კოკორიკ არ ამოგვიტანია.

— ჩუ, ეს რა ხმაა!

— ქარი ქრის.

— არა, თითქოს გარეთ ვიღაც დაპარაკობსო.

— ეგ წვიმია, ხის ფოთლებს ვჩურჩულება. აბა, დაუგდე ყური!..

პატარძალამ და ბაღამ სული განაბეს.

გარეთ ქარი ქროდა, წვიმაც ჩურჩულედა ხის მწვანე ფოთლებში. მაგრამ... ბიჭოს, ეს რა ხმაა!

აივნის კიბეს ბრახაბრუხით ვიღაც ამოჰყვა და კარებში გასალეშმა გაიჩხაკუნა.

ოთახში, დღის შუქთან ერთად, თვალბეციმციმა გოგონა შემოიქრა. თმაზე, ღოყაზე, მხრებზე წვიმის წვეთები პაწაწკინტედა ვარსკვლავებზე უციმციმებდა.

ბებია დაროც მოვიდა.

— მოვიდენე, მოვიდენენი!—სიხარულით წამოიძახეს ბაღამ და პატარძალამ.

გოგონამ ყვავილებთან მიიბრინა.

— უი, ბებოკო, მიწა მთლად გაშრობიათ, რატომ გარეთ არ გაგიტანია ყვავილები, დაგვიწყდა?

— არ დამევიწყებია, შვილო, ადრე ზამთრის სულხი იყო და გარეთ გასატანად ვერ



შეველიე, ახლა კი გაბაფხულის წვიმა მოუხდება.

გოგონამ ქოთნებს სწრაფად დასტაცა ხელი. ცალ მხარეს პატარძალა დაიჭირა, მეორე მხარეს ბაღა და აივნის დირწე ფრთხილად დააწყო.

გარეთ წვიმდა.

ყვავილებმა შევებით ამოიხუნთქეს.



უი თ ა ჯ უ ს

ვეფხისტ

(მოკლე შინაა)

არაბეთში დაბრუნებულმა ავთანდილმა უამბო თინათინს ყოველივე და მოახსენა, რომ უკანვე უნდა წასულიყო ძმადნაფიცის დასახმარებლად.



თინათინმა მოუწონა ჭაბუკს გადაწყვეტილება, მაგრამ როსტევენი წინააღმდეგი იყო ავთანდილის მეორედ წასვლისა. ამიტომ იგი იძულებული გახდა—გაბარულიყო. ტარიელი ავთანდილის გამოქვაბულში არ დახვდა. ავთანდილი ძალიან შეწუხდა და საძებრად წავიდა. ავთანდილმა ტარიელი შამხნარში იპოვა, იგი უგრძობლად ევლო დახოცილ ლომსა და ვეფხვს შორის. ავთანდილმა მოასულიერა ტარიელი და გამოქვაბულში წაიყვანა. ტარიელმა უამბო ლომისა და ვეფხვის დახოცვის ამბავი. ძმადნაფიცების დანახვაზე ასმათმა გაიხარა.

შემდეგ ავთანდილი წავიდა ფრიდონის სამეფოში, ფრიდონს უამბო ტარიელის ამბავი და იქიდან გაუდგა გზას ნესტანის საძებრად. დიდხანს იარა და ზღვის პირას შეხვდა ზღვათა სამეფოში მიმავალ ვაჭართა ქარავანს, რომელიც ყაჩაღების (მეკობრეების) შიშით ზღვაში ვერ შედიოდა. ავთანდილი დაეხმარა ვაჭრებს, მუსრი გაავლო მეკობრეებს, სამაგიეროდ, სთხოვა მექარავნებს: ზღვათა ქალაქში რომ შევალოთ, ნუ გაამყდვენებთ ჩემს რაინდობას, მეც ვაჭრულად გამოვეწყოი, ვითომ თქვენი უფროსი ვარო. კარგა ხნის შემდეგ, მივიდნენ ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქ გულანშაროში. აქ ავთანდილი დაუახლოვდა ადგილობრივ ვაჭართა უხუცესის ცოლს—ფატმან—ხათუნს და მისგან ნესტანის ამბავი გაიგო. მან უამბო: ერთხელ დავიხანხე, რომ ორმა ზანგმა ზღვიდან კიდობანი გამოიტანა, საიდანაც მზეთუნახავი ქალი გადმოსვეს. გავგზავნე მონები, რომელთაც ზანგები დახოცეს და მშვენიერი ქალი მომიყვანეს. ეს ამბავი ჩემს მეუღლეს უსენს ვუამბე და დავაფიცე არავის-

თ ა ვ ა ო ლ ი

ყაოსანი

ლ. ვაგრაძელმა

თვის გაემხილა, მაგრამ მან ფიცი გატეხა და მზეთუნახავი ქალი მეფეს სარძლოდ აჩუქა. ქალი წაიყვანეს და ცალკე ოთახში მოათავეს მეფის ძის ლაშქრობიდან დაბრუნებამდე. მზეთუნახავმა ქალმა ჩემი ნაჩუქარი ძვირფასი სარტყლით მცველები მოისყიდა, ღამით ჩემთან მოვიდა. ცხენი მოხოვა, შეგდა ზედ და გაიპარა. შემდეგ გავიგე, რომ იგი ქაჯებმა შეიპყრეს და ქაჯთა მეფის შვილის—როსანის საცოლედ დანიშნეს. ამჟამად ქაჯეთის ციხეშია გამომწყვდეული და უამრავი მცველი დარაჯობსო.

ავთანდილს ძალიან გაუხარდა ამ ამბის მოსმენა. მან ფატმანს უამბო თავისი ვინაობა და დახმარება სთხოვა. ფატმანმა ქაჯეთს გრძნეული მონა გაგზავნა და წერილით ამცნო ნესტან-დარეჯანს, რომ მალე მის დასახსნელად მივიდოდა მისი მიჯნური ტარიელი—თავისი ძმადნაფიცი ავთანდილით. საბასუხოდ ნესტანმა მადლიერებით საგვე წერილი მისწერა ფატმანს, მან წერილი გაუგზავნა ტარიელსაც და თან ნიშნად გამოატანა იმ თავსაბურავის—რიდის ნაჭერი რომელიც მას ხატაელების ომიდან დაბრუნებულმა ტარიელმა აჩუქა. ნესტანი ტარიელს სწერდა, რომ მისი გამოსნა ძნელი იყო. ამიტომ ურჩევდა, ნუ წამოხვალ, სჯობია, ინდოეთში წადი და მტრისაგან შევიწროებულ ჩემს მშობლებს დაეხმარეო. მე სანამ ცოცხალი ვარ, ვერაგინ ჩამივდებს ხელში, უწინ კლდიდან გადმოვარდებიო.

ამ ამბით ვახარებული ავთანდილი ტარიელისკენ გაეშურა. ტარიელი შამხნარში ნახა, მას ლოში მოეკლა და ხმალს წმენდდა. ავთანდილმა გადასცა ნესტანის წერილი და რიდის ნაჭერი.



ტარიელს რიდის დანახვაზე გული შეუწუხდა. ავთანდილმა მოასულიერა და გამოქვაბულისაკენ წავიდნენ. გამოიტანეს გამოქვაბულიდან დევების იარაღი და ფრიდონთან გამოიარეს. სამასი რჩეული კაცით, სამი ძმადნაფიცი მიადგა ქაჯეთის ციხეს. ითაბირეს, სამივემ თავისი აზრი გამოთქვა. ტარიელის რჩევა მიიღეს და დილაადრიან შელევს ქალაქის კარები. საშინელი ბრძოლა გაიმართა, გაჟლიტეს მცველები, ტარიელი პირველი შეიტრა ციხეში გვირაბის კარებიდან. ძმადნაფიცებმა გაათავისუფლეს ნესტანი. ბოროტს სძლია კეთილმა ძალამ. გმირებმა გასწიეს ზღვათა სამეფოსაკენ. ზღვათა მეფემ ტარიელს და ნესტანს ქორწილი გადაუხადა. ტარიელმა ზღვათა მეფეს აჩუქა ქაჯეთის სამეფო, ფატმანს კი უძღვნა ქა-



ინდოეთისაკენ და სასტიკად დაამარცხეს მტერი. გახარებულ დედოფალს გლოვა სწავრულად შეეცვალა. ტანტზე დასვეს ტარიელი და ნესტანდარეჯანი. დიდი ქორწილი გადაიხადეს და უსომო საბოძვარი გასცეს. ტარიელმა ასმათს ინდოეთის ერთი მეფეიდელი უბოძა და უთხრა: ვინც გინდა ქმრად შეირთე და მემსახურეო. დიდი ლხინისა და მზიარულების შემდეგ, თუმცა გაყრა ეძნელებოდათ, ავთანდილი და ფრიდონი გამოეთხოვნენ ტარიელს და ნესტანს, თავთავიანთ სამეფოში წავიდნენ. სამივე ხელმწიფეს: ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ისინი ყველას თანაბრად სწავლობდნენ, ობოლ-ქვრივნი გაამდიდრეს, მათხორბომა მოსპეს, ცული საქმის ჩამდენნი დაამინეს და იხეცხოვრობდნენ, რომ მათ სახელმწიფოებში თხა და მგელი ერთად ძოვდა.

ჯუთიდან წამოღებული მთელი სიმდიდრე, ძმადნაფიცები წავიდნენ ფრიდონის ქვეყანაში, სადაც კიდევ გადაიხადეს ქორწილი. შემდეგ ტარიელი და ფრიდონი ავთანდილს წაჰყენენ არაბეთში. როსტევან მეფე დიდი ზემით მიეგება რაინდებს. ტარიელი დაწინაურდა მეფის შესახვედრად, ბოდიში მოუხადა როსტევანს მონების დახოცვისათვის, უამბო ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობის შესახებ და სთხოვა მათი ქორწილის თანხმობა. როსტევანმა განაცხადა, რომ ის ავთანდილზე უკეთეს სიძეს ვერ იპოვის და არაბეთში გადაიხადეს ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის ქორწილი. რამდენიმე ხნის შემდეგ შაბუკები დიდი ლაშქრით გაემართნენ ინდოეთისაკენ. გზაში შეიტყვეს, რომ ფარსადან მეფე გარდაცვლილა და ინდოეთს შემოსევიან ხატაელები. ძმადნაფიცები სწრაფად გაემართნენ





ქექელი



ლავიო ხაროძე

თვალებს ხუჭავს, როდესაც
ყვიის თავგამეტებით,
სულ ზებირად სცოდნია
მამლაცინწას ნოტები.

ნახატები ზარბოზაძის

პიკვეკდასელთა სიმღერა

ლადო სულაბერიძე

შევისწავლეთ ასოები:

ანი,

ბანი,

განი,

დანი...

ისე კობტად დავწერო ანბანს,
იქნეს უველას მოხაწონი.

შევისწავლეთ ასოები,

კვიხარია, ერთად ვმღერით;

ჩვენ ბებიებს მივწერო ბარათს,

წაჯივითხაჯო ბებოს წერილს.

თვითონ გაუშლით ღამაჰ წიგნებს.

არ შეგვაკართობს წიგნის ბწკარი.

შევისწავლეთ ასოები

და შევალეთ ცოდნის კარი.

ლაღად ვივლით ცოდნის გზაზე,

ძერე ცაქმდეც შევძლებთ ფრენას.

წინ-წინ ღამაზრად წაგვიძღვება

მშობლიური დედა ენა.





დაუპაველებელი

სკვამარი

ნორდა კაპალიძე

ერთ მშვენიერ დღეს დათემა თავის ბელს დაუბარა: შინ იყავი, არსად წახვიდნო. თვითონ ზურგზე გოლდორი მოიკიდა და ტყის ბილაკს დაადგა.

დათუნია ძალზე ცელქი და მოუსვენარი იყო. ბუნაგში ვერ გაჩერდა და აქაქაქაში გამოვიდა.

მელიამ ჩამოიარა, დაინახა მოწყენილი დათუნია და გადასძახა:

— მეზობელო, ამ მზიან დღეს შინ რამ გაგაჩერა?

— დედამ მითხრა, არსად წახვიდეო!— შესჩივლა დათუნია.

— იმ! მაშ თაფლი ვინდა ქამოს? ცოდო არ არის ტყუილბურალოდ რომ იღვრება? აი, იმ სერს გადახვალ, ხევის დაგხვდება. ხევეს გადალმა დიდი წიფლის ხე დგას. მის ფულუროში ისეთი თაფლია, თათებს ჩაიკვენტ.

— მერე და ვისია ის თაფლი?

— ვინც შექამს, იმისია.

დათუნია ტყისაკენ გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა, წიფლის ხეს მიადგა და ზედ აბობღდა. ფულუროც გამოჩნდა. ჯერ თათი შეჭყო, მოსინჯა, მერე ცხვირიც მიაყოლა და ღინჯად შეუდგა ქამას.

— არიქა, დაუპატიებელი სტუმარი გვეწვია!— უცებ დასკვივლეს ფუტკრებმა და საბრალო დაკბინეს და დაასივეს.

დათუნია კენესითა და ვაი-ვაივით შინისაკენ გაეშურა.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

გეფე რ სუიქი

კორეული ხალხური ზღაპარი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ბრძენი მეფე. იგი უოველმხრივ ბედნიერი იყო, მაგრამ ერთი რამ აღონებდა— შვილი არა ჰყავდა. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა: ჩემს სამეფოში ყველაზე ალაღ-მართლ ბავშვს ამოვარჩევ და შვილად ავიყვანო.

მეფემ ბრძანება გასცა, ყველა ბავშვს სკვამარების თესლი დაურჩევთო და გამოაცხადა:

„ვინც ამ თესლებიდან მშვენიერ ყვავილებს გამოიყვანს, იგი ჩემი შვილი გახდება“.

ბავშვები მაშინვე საქმეს შეუდგნენ. დიდი დროს საღამომდე თავს ეგლებოდნენ ქოთნებს.

ერთი ბიჭო—სურიც დიდ გულმოდგინებას იჩენდა. გავიდა ათი დღე, თხუთმეტი, ერთი თვე. ქოთანში კი არაფერი ჩანდა.

— დედიკო, თესლს ლივი რატომ არ გამოაქვს? — ჰკითხა დედას გაოცებულმა სუირიმმა.

— სხვა მიწაში სინჯე, შვილო, — ურჩია დედამ.

სუირიმ თესლი სხვა მიწაში დათესა, მაგრამ იმედი მაინც არ გაუშართლდა.

ბოლოს დადგა მეფის მიერ დათქმული დღეც. საზეიმოდ მორთულ ბავშვებს საამურად გაშლილი უვავილებიანი ქოთნები მოჰქონდათ სასახლეში. უოველი მათგანი ფიქრობდა, მეფის შემკვიდრე გამხდარიყო. ეს რა ამბავია? მეფე ბავშვების წინ მიდიშოდის, შეჰყურებს მშვენიერ უვავილებს, მაგრამ მის სახეზე სიამოვნების ნახაზიც კი არა ჩანს.

უცებ მეფემ მტრალი სუირი დაინახა. სუირის ხელში უვავილების ცარიელი ქოთანი ეკირა. მეფემ ბრძანა ატარებული ბიჭი მასთან მიეყვანათ.

— რა გატარებს? — ჰკითხა მეფემ.

სუირიმ სლუკუნ-სლუკუნით უამბო მერყვას: ბევრი ვიწვალე, მაგრამ უვავილი მაინც არ ამოვიდა. ალბათ ლმერთმა დამსაჯა იმისათვის, რომ ერთხელ სხვის ბაღში ვაშლი მოვწევიტეო.

მეფემ ხელი მოჰკიდა სუირის და თქვა: — აი, ვინ არის ჩემი გულწრფელი და ალალ-მართალი შვილი!

მეფის ამ სიტყვებზე უვავიანი აუაყანდნენ: — იგი ხომ ცარიელი ქოთნით მოვიდა, რატომ აცხადებ შვილად, მეფეო?

მაშინ მეფემ თქვა: — მომისმინეთ! თესლები, რომლებიც თქვენ დაგირიგეთ, მოხარული იყო, მათ გაცხარება არ შეეძლოთ.

ბავშვები სირცხვილისაგან ვაწითლდნენ, რადგან უვავილები სხვა თესლებისაგან ჰქონდათ გამოუყვანილი.

თარგნა ვახაშვი ძნაღაძე
ნახატი ლომიბერი ზარაფიშვილისა





თაგუნა და ლაშქარი

1. მომთხრობელი

ზღაპარი

იყო კუდაბსეკია,
მეტინარა თაგუნა,
მოდიოდა სიმღერით:
— ბეღმა ეს რა მარგუნა,

ცაძმა-ცუძმა, ჰა-ძმა-რი,
გზაზე ვინაზე ლაშქარი,
დავდგამ ტანტის ბოლოსა,
გავინათებ სოროსა.

წინ შემოხვდა ვირთხა
და თაგუნას ჰკითხა:
— ეს რა მიგაქვს, თაგუნა?
— შია, ბეღმა მარგუნა.

ცაძმა-ცუძმა, ჰა-ძმა-რი,
გზაზე ვინაზე ლაშქარი,
დავდგამ ტანტის ბოლოსა,
გავინათებ სოროსა.

ვირთხამ გადახარხარა:
— ეგ არა ჰქნა, ჰატარაჲ,
დაგიდგება თვალები,
არ ჰქნა, გენაცვალეობი.

გზა განაგრძო თაგუნამ.
— ბეღმა ეს რა მარგუნა,
ცაძმა-ცუძმა, ჰა-ძმა-რი,
გზაზე ვინაზე ლაშქარი.

დავდგამ ტანტის ბოლოსა,
გავინათებ სოროსა.

საღამო ხანს სოროში
ლაშქმა დგას და ანათებს,
და ლაშქარის გარშემო
ბუქნა-ცეკვა გაძარბებს.

თაგუნებს ბეღმა უმტყუნა,
განდა ფისო კრუტუნა.
თათი მალლა ასწია,
ატულა გაწამაწია.

ფისომ თაგვი ნაცარა
სადღაც წააცანცალა...

არ ერწმუნა წრუწუნა
ბიძამისის სიმართლეს...
ამის შემდეგ თაგვები
გაურბიან სინათლეს.

ანლაც იქ დგას ლაშქარი...
გაგუითაჲდა ზღაპარი.



შეზინის იხვი

მიღას ჰქონდა რეზინის
სათამაშო იხვი.
საბუდარი მოუწყვა,
არ დასჭირდა ფიჭრი.
ჩაუფინა ბამბა და
ქალაღებში ვერცხლის,
იქნებ დაღოს რეზინის
პაწაწინა კვერცხი.



ქეთევანი "ჯაყურა"

— დნეპრის პირას ეს ბიჭი
ნეტავ როდის მივიდა?
— რა ხანია. ანკესით
აქა ვზივარ დიდიდან.
— საღამოა. ბაღე კი
ცარიელი ქანაობს.
— თევზის ჰერას არც ვფიქრობ,
რატომ სწუხართ ამოდ?
— მაშ, რად ზიხარ წყლის პირას
ანკესით და ბაღეთი?
— ქიაცვდას ვუტარებ
წყალში ცურვის გაკვეთილს.

თარგმანი ლეილა პარაშვილი
ნახატები ზარაბ შაბაჩიანი



საქართველო



ქვეყნა

ნასორ ბალახონია

მე წავედი ტყეში.
თოფი მქონდა ხელში.
შემხვდა ერთი ტახი,
ჰქონდა ორი ეშვი.
ტახს ვესროლე ბეჭში,
მანც არ მოვეშვი—
მეც თან გადავეშვი,
ტახი ვიგდე ხელში,
მოვაცალე ეშვი.

ჩემი ქათმები

ბებოს ორი ვარია მაჩუქა. კარგად ვუვლიდი მათ და მალე წამოიზარდნენ კიდეც. ერთ მშენებერ დღეს სამზადის კარს მოაღწენ და ნისკარტით კარზე დააკაუნეს.

კარი გაჭულე. შემოვიდნენ და აქეთ-იქით დაიწუნეს ტრიალი. თითქოს რაღაცა ეძებნო. ბებია მიხვდა და კუთხეში ორივეს თივა დაუგო. ქათმები თივაზე ჩაცუცქდნენ, ჩვენ მოვეცალეთ.

ცოტა ხნის შემდეგ აკაქანდნენ. შევედი და ვხედავ, თივაზე ორი თოვლივით თეთრი კვერცხი დაუდევთ. კვერცხებს ხელი დავავლე. თბილი იყო.

ქათმები გახასვლელს მოაღწენ და კარზე ისევ აკაქნი ატეხენ—გარეთ გავვიშვითო.

ახლა უფელ დღე ახლა: კვერცხის დადების დრო როცა მოახლოვდება, მაშინვე კარს მოაღწევიან და აკაქუნებენ:—ჩქარა გავვალეთო.

მოსწავლე ირინა ნემსაძე



ნახატები გიორგი როინიშვილისა



ვენაია ბალახილი

გაჩენიდან ხურავს ქული, არც ფეხი აქვს და არც კული.

ხუმარინი



ღარჯან პაპია

მინდა კიდედასაგან
 ტყე სულ იყოს დაცული.
 ხეს ნისკარტი ვუკაუნებ.
 არც წაღლი მაქვს, არც კული.
 ვანადგურებ ტყის მიფენბლებს,
 ოჯახს შრომით ვინახავ.
 კრელ-ნაცარა ბარტყებსაც ვზრდი.—
 უსაქმურად ვინ მნახავს.

ლოკმუსაღა

ლილი პაპია

ჯერ კბილებიც არა აქვს,
 პატარაა ღეღა,
 ღეღა ვამღებს მოიტანს,
 მე დამჩრება ყვეღა.



ნახატებულია პოლონურ საბავშვო უფროსადღან



რედაქტორი ჯანსუღ ჩაქაშვიანი, ხარუდაქციო კოლეგია: ბ. ზამბაქოძი, კ. მარგიაშვილი, ჯ. ლომუა, მანუჩაძე-ლიპილი, ჯ. ნინუა, შ. ცხაღაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულუისძიანი (რედაქტორის მოადგილე), რ. პიიშვილი ხაქარაფედოს ადგილ ცენტრალური კომიტეტისა და გ. ო. ლენინის სახელობის წმინდა პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსადღა

უღის მხატვრობა პაპია მელიქიძევილია
 ბავაე მუეუ ჭვაბში არ დაუბრუნდებათ.
 გავრცელებულია „ნანადღური“ ვაზონი. ზღვ. № 2977, ნგაშის ზღვ. № 3009, ტიპოგრაფია № 57-590, ხელმოწერილია დასაბუღდად 26/1 1966 წ. ბარნაღი დაბეჭდადი საქ. კ. კ. ჯანსუღელის პოლიგრაფიკისაგზა-ღუნის ქ. № 14 „საბჭო“ № 2 ნა გრუზიკოსო ჟიჟი. ტელის, მერიხი ნიქონიკა № 91, ოფიციური მისამართი: თბილისი, მუხომბისი ქობის, № 91, ტელ. 5-37-38, 5-15-09.



1




4

1. „მზე“—ნაბატი ნინო ჩახუნაშვილისა, 3 წ. თბილისი.
2. „ჩემს ფანჯარაზე“—ნაბატი ქეთევან კოტედიშვილისა, 5 წ. თბილისი.
3. „გოგაკი“—ნაბატი ნინო ყიფშიძისა, 6 წ. თბილისი.
4. „გახვირებდა“—ნაბატი ზურაბ ქვიციანი, 6 წ. გულრიფში.
5. „წითელქაბიანა გოგონა“—ნაბატი ქეთევან ჩახუნაშვილისა, 5 წ. თბილისი.
6. „თვითმფრინავი“—ნაბატი თლია შაუშიანისა, 4 წ. ბათუმი.



2



6



5

